დანართი #10

# 2022-2023 | საქართველოს ჩემპიონატი

## დამატებით დროში შუთაუთის (პენლების) დებულება

1. **პლეი-ოფის მატჩებში საბოლოო ფრის შემთხვევაში ინიშნება შუთაუთი -**
   5 დარტყმა მიწიდან, 22-მეტრა ხაზზე, 3 ადგილიდან

**1.0** დამატებითი დროის დასრულების შემდეგ, მსაჯი იხმობს ორივე გუნდის კაპიტანებს წილისყრაზე. მოგებულს შეუძლია აირჩიოს შუთაუთის დაწყება ან მოედანი (მოედნის რომელ კარში დაარტყამს ორივე გუნდი)

**1.1** ორივე გუნდმა უნდა დაასახელოს **3** მოთამაშე

**1.1.1** არ შეიძლება ისეთი მოთამაშეების დასახელება:
ა) ვინც დამატებითი დროის დასრულებისას მოედანზე არ იმყოფებოდა
ბ) ვინც მოედანზე არ შემოსულა
გ) ვინც წითელი ბარათი მიიღო
დ) ვინც ყვითელი ბარათი მიიღო და ვერ მოასწრო მოედანზე დაბრუნება

**1.2** მეოდანზე რჩებიან მხოლოდ დასახელებული მოთამაშეები - სულ **6** და მსაჯთა ბრიგადა (მთავარი მსაჯი, კარებს უკან - გვერდითი მსაჯები)

**1.3** დარტყმები სრულდება 3 ადგილიდან, 22-მეტრა ხაზზე:

1) კარის წინიდან

2) მარჯვენა აუტიდან 15-მეტრიან ხაზზე

3) მარცხენა აუტიდან 15-მეტრიან ხაზზე

-----------------------------------------------

ამის შემდეგ დარტყმების ადგილთა მიმდევრობა არ იცვლება 1) 2) 3)

**1.4** დასახელებულ 3 მოთამაშეს შეუძლია მხოლოდ ერთმანეთის მიმდევრობით დარტყმების შესრულება




**1.5** თუ 5 დარტყმის შემდეგ გამარჯვებული არ გამოვლინდა, დარტყმები გაგრძელდება თითო-თითოდ: სანამ ერთი გუნდი არ გაიტანს და ამავე ადგილიდან მეორე გუნდი არ ააცილებს

**1.5.1** ამ დარტყმების დროსაც არ უნდა დაირღვეს როგორც დარტყმის ადგილების, ისე დამრტყმელების მიმდევრობა

**1.6** მოთამაშეს, ბურთის მიწაზე დადებიდან, დარტყმის შესასრულებლად აქვს 1 წუთი.

**1.6.1** თუ მან 1 წუთს გადააცილა, მსაჯს შეუძლია გაუუქმოს დარტყმა